ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 188

"12" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

შპს „ბიზნეს ცენტრი ლეონიძეზე"-ს პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის,„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და„შპს „ბიზნეს ცენტრი ლეონიძეზე"-სათვის დამატებითი ვადის განსაზღვრისა და პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №16.12.193 განკარგულების საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას გაათავისუფლოს შპს „ბიზნეს ცენტრი ლეონიძეზე" 2011 წლის 2 ივნისს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ე-25-84-686 ოქმისშესაბამისად დაკისრებული და დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან იმ პირობით, რომ კომპანია 2016 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოფს საინვესტიციო ვალდებულების სრულად განხორციელებას.
2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი